ხელშეკრულება № 151

საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე გამარტივებული საშუალებით
საკუთარი შემოსავლების ფარგლებში

ქ.თბილისი 06 ნოემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ სსიპ **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია,** მდებარე: ქ.თბილისი, ვ.გოძიაშვილის ქუჩა #49 (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი გულედანის სახით და მეორეს მხრივ **შპს „დათა 1308“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის კამალადინი აღაჯანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის საფუძველზე, ურთიერთშეთანხმებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას გამარტივებული საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია საკვები კონტეინერების (CPV 39221130) შესყიდვა ცხრილის შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვით.

№	შესასყიდი საქონლის დასახელება და მახასიათებლები	განზ. ერთ	რაოდე.	ერთ. ფასი დღგ-ს ჩათვ.	საერთო ღირებ. დღგ-ს ჩათვ.	მწარმოებელი ქვეყანა
1	პლ. კონტეინერი HOME DESIGN (1.2ლტ) სა-350	ცალი	19	2.50	47.50	თურქეთი
2	პლ. კონტეინერი HOME DESIGN (2.2ლტ) სა-355	ცალი	22	3.0	66.00	თურქეთი
3	პლ. კონტეინერი HOME DESIGN (5ლტ) სა-310	ცალი	13	4.50	58.50	თურქეთი
4	პლ. კონტეინერი HOME DESIGN (28ლტ) სა-325	ცალი	2	14	28.00	თურქეთი
	სულ				**200.00**	

1.2. შესყიდვის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლები.

2. საქონლის მიწოდების ვადა, ღირებულება და პირობები

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7(შვიდი) კალენდარული დღე.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 200.00 (ორასი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.4 საქონლის ტრანსპორტირებას შემსყიდველის მისამართზე - ქ. თბილისი, ვასო გოძიაშვილის ქ. N49, უზრუნველყოფს „შემსყიდველი“.

2.5 მიწოდებული საქონელი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ცხრილში მითითებულს და სრულად პასუხობდეს „შემსყიდველის“ მოთხოვნებს.

3. საქონლის ხარისხი

3.1მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ხარისხიანი, ქარხნულად დამზადებული, ახალი და არამეორადი.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მიწოდება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს მოაწერს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის სამეურნეო

განყოფილების უფროსი იოსებ ჩორგოლაშვილი, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან - მისი უფლებამოსილი პირი.

5. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

5.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქონლის მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია, განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.
6.2 „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას:
6.2.1 დროულად უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.
6.2.3 უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე.
6.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
6.3.1 პასუხი აგოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხსა და მონაცემთა სიზუსტეზე.
6.3.2 გადასცეს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო პროდუქცია.
6.3.3 უზრუნველყოს საქონლის მიწოდება დადგენილი პირობების შესაბამისად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.
7.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენისთვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.02%-ის ოდენობით.
7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ამ მუხლის მიზნებისთვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული „შემსყიდველის“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
8.2 ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების თაობაზე. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს, გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი გზები, რომლებიც თავისუფლი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეიტანოს ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო აუცილებელი ხდება ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანა, მაშინ ცვლილებების ინიციატორი ვალდებულია, აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული, „მიმწოდებელს“ წარუდგინოს რაიმე მტკიცებულებები იმ გარემოებათა თაობაზე, რომელთა გამოც წარმოიშვა ამ ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობა.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1 ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დადგენა.

10.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს ხელშეკრულების 4.1 პუნქტში მითითებული პასუხისმგებელი პირი.

11. დამატებითი პირობები

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და გრძელდება 2017 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

11.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მის დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე გაასხვისოს, ან მესამე მხარეს გადასცეს თავისი უფლებები და მოვალეობები.

11.3 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

11.4 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

11.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

12. დავათა განხილვის წესი

12. წამოჭრილ უთანხმოებებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთმოლაპარაკებით, შეთანხმების საფუძველზე. ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში-სასამართლო წესით მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

“შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	შპს „დათა 1308“
ს/კ: 205162802	ს/კ: 200257275
მის: ქ.თბილისი, გოძიაშვილის ქუჩა #49	იურ. მის: ქ. თბილისი, გლდანის რაიონში, მუხიანის I მ/რ,კორპ. 2
საბანკო რეკვიზიტები:	მომს. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	ბანკის კოდი: TBCBGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ა/ა: GE06TB7389036020100004
ანგარიში/სახაზინო კოდი: 707527102	ტელ.: 577 40 37 91
----------	----------
ირაკლი გულედანი დირექტორი	კამალადინი აღაჯანი დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

06 ნოემბერი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი პირები ვადასტურებთ, რომ შერჩევისა და ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების პროცედურებში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შპს შპს „დათა 1308“-ის მიმართ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის
სამინისტროს ლაბორატორიის

დირექტორი: ირაკლი გულედანი

სამეურნეო განყოფილების უფროსი: იოსებ ჩორგოლაშვილი

შესყიდვების განყოფილების უფროსი: დიმიტრი მირველაშვილი